

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა  
ფაკულტეტი  
საბაკალავრო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობაში

პროგრამა ძირითადი (major) სპეციალობისთვის  
საბაკალავრო პროგრამის დასახელება – ხელოვნებათმცოდნეობა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის  
ხარისხი BA in Humanities

პროგრამის მოდერნიზების თარიღი – 30.06.2009

პროგრამის კოორდინატორი: მათა ციციშვილი, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის  
სრული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების ბაკალავრიატის  
პროგრამის ხელმძღვანელი

ანალოგი პროგრამები:

- **Ludwig-Maximilians-Universität München Kunstgeschichte Georgenstr. 7 D-80799 München** Tel: +49 (0) 89 / 2180 – 2465 Fax: +49 (0) 89 / 2180 – 5316,  
<http://www.fak09.uni-muenchen.de/Kunstgeschichte/>
- **University of Cambridge, The Department of History of Art, 1-5 Scroope Terrace, Cambridge CB2 1PX.** Tel: 01223 332975 Fax: 01223 332976.  
<http://www.hoart.cam.ac.uk/HOART>
- **Universitaet Basel, Koordination, Coure Catalogue, Catalina Alber, Postfach Peterplatz 1, CH-4003 Basel**  
<http://www.unibas.ch/>
- **Institut für Kunstgeschichte und Archäologie Regina-Pacis-Weg 7, 53113 Bonn** Tel.: 0228 / 73 7329 (Geschäftszimmer)  
Fax: 0228 / 73 7466  
E-Mail: [sekretariat.vfgarch@uni-bonn.de](mailto:sekretariat.vfgarch@uni-bonn.de), [www.ika.uni-bonn.de/abteilungen/kunstgeschichte](http://www.ika.uni-bonn.de/abteilungen/kunstgeschichte)

საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება.

**მიზანი** - ხელოვნების ისტორია წარმოადგენს ისტორიულ დისციპლინასა და მეცნიერებას, რომელიც თანმიმდევრულად იკვლევს ხელოვნებას უძველესი დროიდან დღემდე. მისი ძირითადი კვლევის სფეროებია ისეთი დარგები, როგორცაა არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა და გამოყენებითი ხელოვნება. თანამედროვე პროცესების შედეგად ტრადიციულ დარგებს შეემატა ვიზუალური კულტურის ყველა სფერო: ფოტოგრაფია, დიზაინი, ახალი მედიები და სხვა. ხელოვნების ნაწარმოებებისა და მათი დანიშნულების სტრუქტურული მრავალფეროვნება დარგის ინტერდისციპლინარულობას განაპირობებს.

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ბაკალავრიატის სწავლების მიზანს წარმოადგენს პროფესიული ცოდნის ათვისება. ბაკალავრიატი ემსახურება საბაზისო ცოდნის შექმნას. ამ საფეხურზე სტუდენტმა ვრცელი და მრავალფეროვანი მასალისა და

ხელოვნების ისტორიის მეთოდოლოგიის საფუძველზე უნდა შეიძინოს პროფესიული ჩვევები, აითვისოს სამეცნიერო კვლევის ძირითადი მეთოდები – ნაწარმოების აღწერა, ანალიზი, ხელოვნების ნიმუშების სისტემატიზაცია მათი კონტექსტის შესაბამისად. მან ზეპირ და წერილობით ფორმაში უნდა შეძლოს ხელოვნების ნიმუშების განხილვა, შეფასება და ინტერპრეტირება ისტორიულ და საერთაშორისო კონტექსტში. სტუდენტი, ბაკალავრიატის კურსის მსვლელობისას, შეისწავლის სხვადასხვა ეპოქებისა და კულტურათა ხელოვნების ისტორიას. სავალდებულო საგნების გარდა სტუდენტს მიეცემა ფართო არჩევანი. ამ საფეხურზე გათვალისწინებულია სწავლების შემდეგი ფორმები – ლექცია, სემინარი, წერთი სავარჯიშო, დისკუსია, გასვლითი პრაქტიკა ძეგლების უშუალოდ გაცნობის მიზნით და სხვა.

ხელოვნების ისტორიის სწავლება ორიენტირებულია, როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული საქმიანობის დასაკმაყოფილებლად. ხელოვნების ისტორია წარმოადგენს საუნივერსიტეტო დარგს, რომელიც ისწავლება განვითარებული ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებში. გარდა იმისა, რომ თსუ-ში ხელოვნების ისტორიის სწავლების ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს, აუცილებელია ისეთი უძველესი, მრავალდარგოვანი და მაღალმხატვრული ხელოვნების სწავლება არამარტო მომავალი ხელოვნების ისტორიკოსებისთვის, არამედ მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისათვისაც. თსუ-ს ხელოვნების ისტორიის მიმართულება ორიენტირებულია საერთაშორისო გაცვლით ურთიერთობებსა და კვლევებზე. კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება კომპარატიულ მეთოდს. სწავლების ყოველ ეტაპზე ქართული ხელოვნების ისტორია უნდა განიხილებოდეს შესაბამისი პერიოდის სხვადასხვა ქვეყნების კულტურისა და ხელოვნების წამყვან დარგებთან მიმართებაში.

### სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით	სწავლება, სწავლა და შეფასება
<p>I. ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>1. სხვადასხვა ქვეყნებისა და ეპოქების ხელოვნების ისტორიის ზოგადი ცოდნა</p> <p>2. სტუდენტი განსაკუთრებით კარგად იცნობს ქართულ ხელოვნებას უძველესი დროიდან დღემდე</p> <p>3. ხელოვნების ისტორიის მეთოდოლოგიის საფუძველზე სტუდენტს</p>	<p>ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება; ანტიკური სამყაროს ხელოვნება; შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ხელოვნება; შუა საუკუნეების ქრისტიანული დასავლეთის ხელოვნება; აღორძინების ხანის ხელოვნება;</p> <p>ქართული სახვითი ხელოვნება (I-III); ქართული არქიტექტურა უძველესი დროიდან დღემდე (I-III);</p>

<p>შემენილი აქვს პროფესიული ჩვევები, სამეცნიერო კვლევის ძირითადი მეთოდები – ნაწარმოების აღწერა, ანალიზი, ხელოვნების ნიმუშების სისტემატიზაცია მათი კონტექსტის შესაბამისად.</p> <p>4. სტუდენტი კარგად ფლობს სახვითი და თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების სხვადასხვა დარგების შესასწავლად და გასაანალიზებლად საჭირო მეთოდებს</p> <p>5. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვადასხვა ეპოქებისა და ქვეყნების ხელოვნების ისტორიის შესწავლასთან ერთად სტუდენტი შეისწავლის მათ ისტორიას, ზოგადად კულტურას, ეთნოლოგიას და სხვა.</p>	<p>მხატვრული ნაწარმოების ანალიზი; ქართული სახვითი ხელოვნება (I-III); დასავლეთ ევროპის ხელოვნება (XVII–XIX); ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიოგრაფია</p> <p>თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება; დასავლეთ ევროპისა და ამერიკის სახვითი ხელოვნება (XIX–XX); ქართული სახვითი ხელოვნება (I-III);</p> <p>ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება; ანტიკური სამყაროს ხელოვნება; შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ხელოვნება; შუა საუკუნეების ქრისტიანული დასავლეთის ხელოვნება; აღორძინების ხანის ხელოვნება; დასავლეთ ევროპისა და ამერიკის არქიტექტურა (XIX–XX);</p>
---	--

<p><b>II. ცოდნის პრაქტიკული გამოყენება / პრაქტიკული უნარები:</b></p>	<p><b>სწავლება, სწავლა და შეფასება</b></p>
<p>პრაქტიკული უნარების გამომუშავება პროგრამისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს და საგნების უმრავლესობა ამ საქმეს ემსახურება.</p> <p>1. სტუდენტს ზეპირ და წერილობით ფორმაში შეუძლია ხელოვნების ნიმუშების განხილვა, შეფასება და ინტერპრეტირება ისტორიულ და საერთაშორისო</p>	<p>სემინარი, რეფერატი, პრეზენტაცია</p>

<p>კონტექსტში.</p> <p>2. სტუდენტს შეუძლია რეფერატის, ესსეს, მცირე წერილობითი ნარკვევის შესრულება და ნაშრომის პრეზენტაცია.</p> <p>3. შეუძლია სხვადასხვა ეპოქებისა და ქვეყნების ნაწარმოებების განხილვა, შეფასება, მსჯელობა და შედარება კომპარატიული მეთოდის გამოყენებით.</p>	
--	--

III. ზოგადტრანსფერული უნარები	სწავლება, სწავლა და შეფასება
<p>1. ხელოვნების ისტორიის სწავლება ანვითარებს მოქნილ ინდივიდს, ანალიტიკური, კრიტიკული და კომუნიკაციური უნარებით რაც მიშვნელოვანია ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისთვის.</p> <p>2. ახალი ინფორმაციისა, ან სიტუაციის ანალიზი დარგის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით</p> <p>3. მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერიითი კომუნიკაციის უნარს სტუდენტი სასტარტო პოზიციიდან ფლობს (პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ეგ გამარტივებული წესით) უცხო ენათა შორის პროგრამა უპირატესობას ანიჭებს ინგლისურს, რადგან თანამედროვე სახელოვნებო სამყაროში მის გარეშე მიღებული ინფორმაცია საკმაოდ მწირი იქნება.</p> <p>4. სტუდენტს შეუძლია კონტაქტი ორიგინალურ წყაროებთან და პროფესიულ ისტორიოგრაფიული კვლევებიდან შექმნილ ტექსტებთან</p> <p>5. სამეცნიერო-პროფესიული მეტყველების უნარი</p> <p>6. შეუძლია იმუშაოს power-point-ში</p>	<p>სემინარი, რეფერატი, გამოცდა</p>

**შეფასება:**

შეფასების სისტემა ასქულიანია და მოქნილობით ოპტიმალურია ხელოვნებათმცოდნეობის შესწავლისათვის, რადგან სხვადასხვა პარამეტრების შეჯამების და დიფერენცირების საშუალებას იძლევა.

სწავლების ფორმატის მიხედვით ჯამური შეფასების ჩამოყალიბება ასპექტების შემდეგი პროცენტული თანაფარდობით წარმოებს:

ლექციაზე დასწრება: 10%

პრეზენტაცია-სემინარის შეფასება: 20%

კოლოკვიუმი – 15-15 30%

გამოცდაზე დაიშვების წინაპირობა: სემესტრული შეფასების 11 %

საბოლოო გამოცდა: 40%

მინიმალური დამაკმაყოფილებელი შეფასება არის 51.

**პროგრამაში მონაწილე ლექტორები:** თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის 2 სრული პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი და მოწვეული პედაგოგები, (სავარაუდოდ 7) რომლებიც ამჟამად უძღვებიან ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების საბაკალავრო პროგრამის შესაბამის საგნებს, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილთან (საგანზე დაფიქსირებულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით) მოხდება ჯგუფების გაერთიანება.

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებას გააჩნია:

- აუდიტორია (ფართი 35 კვ.მ)
- კაბინეტი (ფართი 26 კვ.მ)
- ვ. ჯობაძის სახელობის ბიბლიოთეკა (ფართი 37 კვ.მ)

**ტექნიკური აღჭურვილობა**

- ორი კომპიუტერი (აქედან ერთი ჩართულია ინტერნეტში); ტელევიზორი; სამი სლაიდოსკოპი; ვიდეო მაგნიტოფონი; საილუსტრაციო მასალის საჩვენებელი აპარატი (overhead); დიგიტალური კამერა; ორი ეკრანი.
- ვ. ჯობაძის სახ. ბიბლიოთეკაში დაცულია 5000 ერთეული.
- ვ. ჯობაძის ბიბლიოთეკაში ინახება ცნობილი რუსი ხელოვნებათმცოდნის ნ. რომანოვის (3000 ერთეული); ასევე ამერიკაში მცხოვრები ქართველი ხელოვნებათმცოდნის ვ. ჯობაძის ბიბლიოთეკის ნაწილი.
- ბიბლიოთეკაში დაცულია საკმაოდ კარგი ხარისხის სლაიდები და ასევე ვ. ჯობაძის მიერ გამოგზავნილი უნიკალური სლაიდები. (ბატონი ვახტანგ ჯობაძის წიგნებისა და სლაიდების გამოგზავნა გრძელდება)

**დასაქმების სფეროები:** სასწავლო პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ სტუდენტს ექნება საკმარისი ცოდნა, კვალიფიკაცია და პრაქტიკული ჩვევები

ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხი ვარგისია მომსახურებისა და კომუნიკაციასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა სფეროში: საჯარო სამსახური, ადგილობრივი, რეგიონალური ადმინისტრაციები, კადრების მენეჯმენტი, ჟურნალისტიკა, საერთაშორისო ორგანიზაციები, ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობის ადმინისტრირება და შეფასება მის სხვადასხვა გამოვლინებებში არქივების, მუზეუმების, საგამომცემლო სფეროსა და ბიბლიოთეკების ჩათვლით.

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:** ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავო პროგრამის დაუფლებასთან ერთად სტუდენტს სწავლის კონკრეტულ მონაკვეთზე აუცილებელი კრედიტების აღების შემთხვევაში შეუძლია ჰუმანიტარული ფაკულტეტის სხვა პროგრამების დაუფლებაც: კულტურის მეცნიერებები, ფილოსოფია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, მედიევსტიკა, საქართველოს ისტორია, თეოლოგია, სახვითი ხელოვნება და დიზაინი და ხელოვნების მენეჯმენტი.